თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4618746

ნომერი: AR1697748

თარიღი : 30.07.2019

გაცემის თარიღი : 05.08.2019

გაცნობის თარიღი : 07.08.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ "ახმეტელის თეატრი"-ს მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამთა მაისურაძე პ/ნ 59001094997
- გორი ფარნავაზის ქ. N 47

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> .ფოტოსურათების pdf ფაილი : -> წარმოადგინეთ განახლებული, დღეის მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები, შორი და ახლო ხედიდან, თარიღის ფიქსაციით. გაითვალისწინეთ ფოტომონტაჟის ხარვეზი და წარმოადგინეთ სხვადასხვა რაკურსით გადაღებული ფოტოსურათები.

2. ფოტომონტაჟი -> .ფოტომონტაჟის pdf ფაილი : -> კონტურის სახით მონიშნეთ თქვენს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ იფართის ფასადი და დაიტანეთ ზომები. წარმოადგინეთ განახლებულ ფოტოსურათზე დამუშავებული ფოტომონტაჟი, რომელზეც დატანილი იქნება ყველა გაბარიტული ზომა, მათ შორის ის ზომაც მიწიდან რა სიმაღლეზე ხდება აბრის მოწყობა. წარმოადგინეთ თაღის შიგნიდან გადაღებულ ფოტოსურათზე დამუშავებული ფოტომონტაჟი. არსებული სარეკლამო აბრა "ექსპერტი, უძრავი ქონება, სესხები" ხელს უშლის იმის აღქმას, თუ როგორ ხდება მის უკან საპროექტო სარეკლამო აბრის მოწყობა. წარმოადგინეთ ისეთი რაკურსით გადაღებულ ფოტოსურათზე დამუშავებული ფოტომონტაჟი, რომელზეც მოხდება ზემოაღნიშნულის გათვალისწინება. ასევე, საკადასტრო გეგმაზე მონიშნეთ კონკრეტულად მხოლოდ ის არეალი, სადაც ხდება საპროექტო სამუშაოების განხორციელება.

3. გაითვალისწინეთ სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა უფლებამოსილმა პირმა ვინც დაინტერესებულია საპროექტო სამუშაოებით. აქედან გამომდინარე იმ შემთხვევაში თუ საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულია თამთა მაისურაძე, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, (იჯარა, ქირავნობა, აღნაგობა და ა.შ) ან რაიმე სხვა უფლების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი საპროექტო ფართთან მიმართებაში (საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული). გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. ამონაწერში ფიქსირდება სხვა პირთა სარგებლობები და საკუთრება თუ დაგეგმილი სამუშაოებით ეხებით მათ ფართებს წარმოდგენილ იქნეს მათ უფლებამოსილი პირების მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები (სანოტარო, ორგანიზაციის ბეჭდით ან ორგანიზაციის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი) მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. თუ არ ეხებით, განმარტეთ. წარმოდგენილ იქნეს 19.07.2019 წლის თანხმობაზე ხელმომწერი პირის გრიგოლი მოთიაშვილის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.